№ 127

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამგე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

ვასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

კარასკევი, 13 ივნისი 1919 წ.

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი საგალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

გამოვიდა და იყიდება

გალაქტიონ ტაბიძის ლექსების მეოცე ტომი

ჯერ-ჯერობით იყიდება: სასახლეში, კვესტორაში, გაზ. „ერთობის“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება

რომლის წესდება დამტკიცებულია მთავრობისაგან, უკვე შეუდგა თავის მოქმედებას. საზოგადოება, თავის მიზნათ ისახავს გაიტანოს საზღვარ გარეთ მარგანეცი (შავი ქვა) და იმის მაგიერ შემოიტანოს საჭირო საქონელი და მიაწოდოს რესპუბლიკის მცხოვრებთ იმ პირობებში, რომ სპეკულიაციას ნიადაგი მოესპოს. საზოგადოების გამგეობას იმედი აქვს, რომ საზოგადოებრივი დაწესებულებანი ხელს შეუწყობენ მას და მიაწოდებენ ცნობებს, თუ რამდენი და რაგვარი საქონელი ესაჭიროებათ. მისამართი: 1, ტფილისი—რუსთაველის პრ. სახლი № 19 შავი ქვის მრეწველთა საბჭო. 2. ჭიათურა—საზოგადოების გამგეობა. 3. ბათომი—დიპლომატიური წარმომადგენელი გ. დ. ჟურული.

პატივისცემით გამგეობა

ქუთაისის სამხედრო გინათა დისტანცია

აცხადებს, რომ ამა წლის 20 ივნისისთვის დისტანციის კანცელარიაში ქ. ქუთაისში ინჟენერის ქუჩაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქუთაისის გარნიზონისათვის 1919 წლის ვადით 900 კუბ. საჟენი ნორმალური ჯიხის შეშის დადგმაზე. ვაჭრობა მოხდება როგორც სიტყვიერად აგრეთვე დაბეჭდილ განცხადებების საშუალებით. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების შესახებ განცხადებები სიტყვიერად, ან დაბეჭდილ პაკეთში საერთო საიჯარო ჯამის 20 პროცენტით და პირადობის მოწმობით უნდა იქნეს შემოტანილი დისტანციის კანცელარიაში 20 ივნისამდი. კონდიციების ნახვა შეიძლება დისტანციის კანცელარიაში ყოველ დღე 8—12 საათამდის.

1038 1—1

ქუთაისის სამხედრო გინათა დისტანცია

აცხადებს, რომ ივლისის 4, 1919 წ. ქუთაისის დისტანციას და ადგილობრივ ლაზარეთის კანცელარიებში მოხდება შეჯიბრება უსუფთაობის და ნაოეცხ წყლის გატანა და გაწმენდაზე შენობების და ლაზარეთის სანაგვე ორმოებიდან მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის ვადით. განცხადებები შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების შესახებ სიტყვიერად, ან დაბეჭდილ პაკეტებში უნდა იქნეს შემოტანილი ივლისის 4, 12 საათზე. ერთ-ერთ ზემო ნახსენებ კანცელარიებში. განცხადებას უნდა ახლდეს 20% საერთო საიჯარო თანხიდან და პირადობის მოწმობა. კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. აღნიშნულ კანცელარიებში.

1039 1—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

3 ივნისი, 1919 წ.

№ 58

ქალ. ტფილისში.

ინიშნება: ხარიტონ გასიევი გორის მაზრის მთა-ოსეთის რაიონის კომისრათ.

5 ივნისის, 1919 წ.

№ 59

იგზავნება: ბორჩალოს უბნის რაიონის კომისარი ამირ ასლან ბინიატოვი ბორჩალოს მაზრაში კოჩევკების გამგის თანამდებობის აღმასრულებლათ.

დაშვებულია: ეფენდი ზიატდინი ბორჩალოს უბნის რაიონის კომისრის თანამდებობის აღმასრულებლათ.

განთავისუფლებულია: ბორჩალოს მაზრის კოჩევკების გამგე პოდპოლკოვნიკი ისრაფილ იედიგაროვი მიკუთნებულ თანამდებობიდან.

მინისტრის ამხანაგი **ჭიჭინაძე.**

კანცელარიის დირექტორი **აფაქიძე.**

№ 28

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.

30 მაისი, 1919 წ.

დანიშნული არიან: ხორშის ფოსტის განყოფილების უფროსი ვლადიმერ პაცია ხორშის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად. დროებით აღმასრულებელი უნცროს მექანიკოსის ვალდებულობის დაბალი ჯამაგირისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა გიორგი მახაშვილი, ზედამხედველათ უფროსი ჯამაგირით იმავე კანტორაში ორივე 1 ივნისიდან 1919 წ.

გადაყვანილ არიან ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: მე-5 ხარ. მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ისააკ ჭელიძე, მე-2 ხარ. გორის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის კირილე ხარებაშვილი (იგივე ვასილი ხარებოვი), მე 6 ხარ. ტფილისის ტელეგრაფის კანტორის ალექსანდრანუშ დანდურიანცისა (იგივე ალექსანდრა დანდუროვისა). ჭელიძე—თეთრ-წყაროზედ, ხარებაშვილი—ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, დანდურიანცისა ტფილისის ქალაქის მე-5 ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში. ჭელიძე—25 მაისიდან, ხარებაშვილი 28 მაისიდან, დანდურიანცისა 1 ივნისიდან 1919 წ. მხოლოდ ხარებაშვილი სამსახურის სასარგებლოთ.

დათხოვნილია სამსახურიდან: ფოსტა ტელეგრაფის მოხელე—მე-6 ხარ. მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი ყვირილის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა ნიკოლოზ გურგენიძე თანახმად თხოვნისა 1 ივნისიდან 1919 წ.

გამორიცხულია სამსახურიდან: ფოსტალიონი სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის აბესალომ კოხრეიძე სამსახურში გამოუცხადებლობის გამო 1 მარტიდან 1919 წ.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის.

28 მაისი, 1919 წ.

№ 85

დათხოვნილია სამსახურიდან ტფილისის ოლქის სასამართლოს თარჯიმანი გიორგი ბაგდასარის ძე ბაკდასაროვი, სასამართლოს გაეროვნებისა გამო, 1919 წ. 1 ივნისიდან სალიკვიდაციო ფულის მიცემით

№ 86

დანიშნულია ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ალექსაპოლსკი იმავე სასამართლოს თარჯიმანად და მას ეკისრება გამგეობა სასამართლოს საზოგადო რეგისტრატურისა და ნივთიერ საბუთთა არქივისა.

მდივანი **ვლ. რატიშვილი.**

31 მაისი, 1919 წ.

№ 91

დანიშნულია გიორგი ხარლამპის ძე ხუციშვილი ტფილისის ოლქის სასამართლოს გზირად 1919 წ. 1 ივნისიდან.

2 ივნისი, 1919 წ.

№ 94

დათხოვნილია სამსახურიდან, ავათმყოფობისა გამო, ტფილისის ოლქის სასამართლოს გზირი შალვა დავითის ძე პარესიშვილი 1919 წ. 1 ივნისიდან.

№ 95

დაინიშნა ტფილისის ოლქის სასამართლოს გზირად ილია ივანეს ძე შოშიაშვილი 1919 წ. 1 ივნისიდან.

3 ივნისი, 1919 წ.

№ 96

განთავისუფლებულია სამსახურიდან, თანახმად მისის თხოვნისა, ქ. ტფილისის პირველ უბნის სასამართლოს გამომძიებლის საქმის მწარმოებელი ლეონინე ასათიანისა 1919 წ. 1 ივნისიდან.

5 ივნისი, 1919 წ.

№ 99

დაინიშნა გიორგი ლავრენტის ძე შოშიაშვილი ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად 1919 წ. 5 ივნისიდან.

6 ივნისი, 1919 წ.

№ 100

დაინიშნა თამარა დავითის ასული ზაალიშვილი ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელედ 1919 წ. 1 ივნისიდან.

თავმჯდომერე სასამართლოსი **პ. კიზირია.**

სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლისა.

6 მაისი, 1919 წ.

№ 1169

დაინიშნოს სენაკის უბნის მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიაში გადამწერად ქ. ახალ-სენაკის მცხოვრები მოქალაქე ელენა ივანე სანოვის ასული ეჭვს ამა მაისის თვიდან.

№ 1168

დაინიშნოს სენაკის უბნის მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიაში გადამწერათ ქ. ახალ-სენაკის მცხოვრები მოქალაქე ეპიფანე გერასიმეს ძე ლომია 6 ამ მაისის თვიდან.

სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლე **გვათუა.**

სხვა ოფიციალური განკარგულება

სახალხო განათლების სამინისტროში.

სამხედრო საფერშლო სკოლა.

ტფილისის სამხედრო გოსპიტალთან ნავთლუღში არსებობდა სამხედრო საფერშლო სკოლა, სადაც მომზადებას იღებდენ განსაკუთრებით სამხედრო პირნი. წარსულ 1918 წლის ზაფხულში ეს სკოლა დაიხურა და მისი ქონება, რომელიც ერთგვარ სიმდიდრეს წარმოადგენს, მათ შორის რუქები, წიგნსაცავი, სხვა და სხვა პრეპარატები, კოლლექციები, ფიზიკური კაბინეტი, პარტები, სასკოლო დაფები და სხვა დღეს სრულიად გამოუსადეგრად ინახება სამხედრო გოსპიტლის ერთ-ერთი ოთახში. განათლების სამინისტროს აზრად აქვს, გოსპიტლის მთავარ ექიმის ბ-ნ თიკანაძის წინადადებით, ეს მოწყობილობა და ქონება სკოლისა გადასცეს რომელიმე პროვინციალურ სასწავლებელს, რომელიც ხელსაწყობისა და სასკოლო ნივთების მხრივ გაჭირვებაში იმყოფება.

ცნობები მასწავლებელთა და მოწაფეობის შესახებ.

თანახმად ამას წინად სასწავლებლებში გაგზავნილ ცირკულიარისა, სახალხო განათლების სამინისტროს მოსდის სკოლათა უფროსებისაგან ცნობები, რამდენი მოწაფეა თვით კლასში და როგორ არიან ეს მოწაფენი ეროვნების და მიხედვით. ამასთანავე სამინისტროს მოსდის ცნობები სასწავლებელთა პირად შემადგენლობის შესახებ (მათი ეროვნება, რიცხვი, განათლების ცენზი, პედაგოგიური სტაჟი და სხვა). ამ ცნობების მიხედვით განათლების სამინისტრო ადგენს ვრცელს და სრულს კარტოგრამას საქართველოს რესპუბლიკის საშუალო სასწავლებელთა 1919 წელს მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ჩვენ დავბეჭდავთ მისი დასრულებისათანავე.

ტერ-სტეფანოვის სკოლის დახურვა.

ამა 3 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკის“ № ში შეცდომით იყო დაბეჭდილი ცნობა, თითქოს ივანე ტერ-სტეფანოვის კერძო სკოლა დაიხურა რევიზიისაგან აღმოჩენილ დიდი დაუდევრობისა და სწავლების საქმის

ჵრა სასურველ დონეზე დაყენების გამო. ნამდვილად ეს სკოლა დაიხურა დაბალ სკოლათა მთავარგამგის გ. ჟუმბურიძის განკარგულებით მხოლოდ იმიტომ, რომ ის მარტო ქაღალდზე არსებობდა და ფაქტიურად კი არ მოქმედებდა.

გამოცდები ძველ ბერძნულ ენაში.

განათლების სამინისტროში რამდენიმე პირისაგან შემოვიდა თხოვნა მათი ძველ (კლასიკურ) ბერძნულ ენის ცოდნაში გამოცდებზე დაშვების შესახებ. სამინისტრომ ასეთი თხოვნები არ შეიწყნარა, რადგან ჯერჯერობით შესაფერი კომისიები არაა მასთან მოწყობილი.

ახალი კომპლექტები სახალხო სკოლაში.

თანახმად ამ დღეებში განათლების სამინისტროსთან გახსნილ ერობათა და ქალაქების თვითმართველობათა წარმომადგენლების თათბირის დადგენილებისა, გორის მაზრის ერობის გამგეობამ უკვე აცნობა განათლების სამინისტროს, რომ მომავალ სასწავლო წლიდან ახალი კომპლექტები, ე. ი. ზედმეტი მასწავლებლები უნდა მიემატოს შემდეგ სკოლებს: ბაკურიანისას, მოხისისას, ვაყისას, ქარელის, შინდისის, ქვემო ჭალის, ქვემონიქოზის, დირბისის, წრომის, ბეკამის, მეტეხის, დოესის, ოსიაურის, ბრეთისას და კასპისას, სულ 15 სკოლას.

ბეჭდების გატაცება.

ტფილისის კერძო აგაპიევისეულ რეალურ სასწავლებლის გამგემ მოახსენა განათლების სამინისტროს, რომ 6 ივნისს ღამით გაიტაცეს მისი სასწავლებლის ლითონის და კაუჩუკის ბეჭდები, შტემპელი, კედლის საათი, პორთფელი, სხვა და სხვა საკანცელარიო ნივთი და სხვა. სასწავლებლის გამგე ეჭვს აცხადებს მაჩაიძისეულ კერძო გიმნაზიის მოწაფეებზე, რომელნიც საღამოობით ხსენებულ რეალურ სასწავლებლის ახლო თავს იყრიდენ და მეცადინეობდენ.

იუსტიციის სამინისტროში

სამინისტროს კანცელარიის დირექტორი.

გ. თ. ჟორდანია, რომელიც შავი სახადით იყო ავათ განიკურნა ავათმყოფობნსაგან და ივნისის 7-დან შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

დეპარტამენტის დირექტორი.

იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორად ახლად დანიშნული ნ. მ. ქიქოძე შავი სახადით გახდა ავათ და ამიტომ ვერ შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

სენატის დებულება.

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული სენატის დებულების პროექტი ამ ჟამად დამფუძნებელ კრების იურიდიულ კომისიაშია განსახილველად შეტანილი. კომისიის სხდომაზე მოწვეულნი იქნებიან ყველა ცნობილი ქართველი იურისტი, როგორც სამსახურში მყოფი ისე ვექილთაგანი.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისათვის.

სამინისტრო ყოველგვარ ზომებს იღებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სასწრაფოდ შემოსაღებად.

საკოდიფიკაციო განყოფილება.

კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული № 8 უკვე გამოვიდა და ამ დღეებში დაეგზავნებათ ხელის მომწერლებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ყაჩაღთა ბრბოების ამოჟლეტა

ბორჩალოს მაზრის კომისარი ბ. ლანდია ს. შულავერიდან დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ივნისის 4 და 5 ყაჩაღებთან შეტაკების დროს სრულიად ამოჟლიტეთ ორი ყაჩაღთა ბრბო ცნობილ ყაჩაღთა მაჰმუდა სულეიმან ოღლისა და მაქსო მჭედლიშვილისა, რომელნიც თავისი მხეცური მოქმედებით შიშის ზარსა სცემდა მთელ მაზრას.

ე რ ო ბ ა

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

ქ-ნი ლარისა ვლადიმერის ასული სარჩიმელიასი დაინიშნა გამგეობის მიერ წყალტუბოს კურორტის ექიმის თანაშემწეთ.

—

პარასკევს, 6 ივნისს, ღამის მატარებლით ერობის გამგ. წევრი ალ. პაპავა გაემგზავრა თფილისში ერობის საქმეების გამო.

—

საქართველოს პარლამენტი 28 ივნისის 1914 წლის კანონის თანახმათ ფონდის მიწებს ანაწილებს გლეხებში სარაიონო კომისია, რომელიც სამინისტროს განკარგულებით უნდა აირჩიოს სარაიონო თათბირმა. თათბირს იწვევენ სამაზრო ერობები და სადაც ასეთები არ არის, სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა. ქუთაისის მაზრის ერობამ უკვე ყველა რაიონებში აირჩია სარაიონო კომისიების და ისინი შეუდგენ მუშაობას.

—

დღეს ყველას მოეხსენება, რომ ჩვენ მაზრაში უკვე რამდენიმე ალაგას ერობამ გახსნა თუ მიიღო თავის მზრუნველობის ქვეშ აფთიაქები. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს, ვიდრე ექიმების დანიშვნას, ან ფერშლების დაგზავნას სოფლათ.

ამჟამათ მთელი მაზრისთვის უკვე არსებობს საათფთიაქო საწყობი, რომელიც დანიშნულებისამებრ მიაწვდის ყველა საერობო აფთიაქებს საჭირო მედიკამენტებს და ნივთებს. საწყობი ჯერ სასურველ შთაბეჭდილებას ახდენს, შეძლებისდაგვარათ შიგ რიგიანათ არის საქმე დაყენებული, ენერგიული და თავის მოვალეობის წმინდათ ამსრულებელ გამგის ხელი ყოველივეს აჩნია.

—

დღესდღეობით საწყობი აწვდის აფთიაქებს იმ მედიკამენტებს, რომლებიც მას მიმწოდ. კომიტეტმა გადასცა. წამლების შეძენის საქმე თუ როგორ მოეწყობა, ჩვენ ვფიქრობთ— რადგან საერობო აფთიაქები წამლებს ჯერჯერობით ფას დადებით უშვებენ (გარდა ღარიბებისა) აფთიაქებში შემოსულ თანხიდან უნდა შესდგეს ერთნაირი ფონდი, რომელიც მოხმარდებოდა საათფთიაქო საქმის სათანადოთ და ფართეთ დასაყენებლათ მთელ მაზრაში. თუ წამლების შეძენის საქმე ეხლავე არ მოგვარდა, ის ცოტა „ზაპასი“, რომელიც ჩვენ საწყობში მოგვეპოვება, სულ გამოილევა და საქმის შემდეგ გამოსაკეთებლათ დიდი ენერგია იქნება საჭირო, აფთიაქის საწყობის გამგე ჩვენი ღრმა რწმენით ამ საკითხს ღირსეულ ყურადღებას მიაქცევს. ამ დარგში სპეკულიაციას ყველაზე უფრო ფართო ასპარეზი აქვს და ვისაც ხალხის დემოკრატიის და სოფლის სიღარიბეზე გული შესტკივა, ის აქ უნდა მიეშველოს მას. გამგეობამ ზოგ ალაგას დანიშნა თავისი ექიმები მაგრამ ვერ (თუ არ) გახსნა თავისივე აფთიაქები. ამით რასაკვირველია ერთი, მხრით დაეხმარა ხალხს, მაგრამ მეორე მხრით კერძო მეაფთიაქეთა ჯიბეების საჩქაროთ ავსებას ხელი შეუწყო. ჩვენ ვიცით ისეთი ალაგი, მაგრამ ალგილობრივი კერძო აფთიაქარი „ახალი ნიხრით“ ტყავს აძრობს ღარიბს უფრო მეტათ ვიდრე მდიდარს, რადგან მდიდრები უფრო ნაკლებ პროცენტს იძლევიან ავათმყოფებისას სოფლად. საჭიროა ამ გარემოებას ღირსეული ყურადღება მიექცეს.

ეხლა მინდა გაკვრით შევეხო იმ აფთიაქებს, რომლებიც ერობის სახელით უკვე მოქმედებენ. ამ თავიდანვე საქმის დაყენება არის საჭირო — ხალხის გულის მოგება და სისხალისით საქმის გაძღოლა, ახალგაზრდა — გამოცდილი ფარმაცევტების ენერგია აქეთ უნდა იქნას მიმართული. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ დანიშნულთა მოღვაწეობა ზემოთ მოყვანის აზრს ზოგიერთ შემთხვევაში დაშორებია; ამაზე ყველაზე უწინ ფარმაცევტებს მიუთითებ. თითეული მოვალეა მისცეს თავს იმის ანგარიში, რომ როდესაც მას რომელიმე აფთიაქის გამგეთ ნიშნავენ, შესწევს ძალა, ენერგია უნარი და გამოცდილება საამისოთ თუ არა, საჭიროა ჩაიხედონ თავის გულში და სინდისის ქვეშ სთქვან ამაზე უარი.

ერობის აფთიაქებში ზოგ ალაგას ემჩნევა მუშა ხელის სინაკლულე, რასაც დიდი ზიანი შეუძლია მოუტანოს საქმეს. ამიტომ საჭიროა შრომა აფთიაქებში ნორმალურ პირობებში სწარმოებდეს.

ფარმაცევტი **დავა.**

თბილისის მაზრის ერობაში.

წვრილ საერობო ერთეულების არჩევნები.

წვრილ საერობო ერთეულების არჩევნები მთელს მაზრაში, გარდა ალბულახის რაიონისა უკვე დასრულდა. ალბულახის რაიონში კი არჩევნები 14 თიბათვეს შესდგება.

სათემო გამგეობა.

უკვე აირჩიეს სათემო გამგეობა შემდეგ სათემოებში (მაზრის ერობის შემადგენელ წვრილ ერთეულებში): მანგლისში, მარტყოფში, სართიჭალაში და საგარეჯოში.

1919 20 **წლის ხარჯთ-აღრიცხვა.**

29 მაისის სხდომაზე თბილისის მაზრის ერობის გამგეობის სხდომამ მოისმინა მოხსენება შემოსავალ გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ 1919 20 საბიუჯეტო წლისათვის— აგრონომ ქურდიანისა. ძირითადი დებულებანი მოხსენებისა შემდეგია:

1) მთელი მაზრა იყოფა სამ აგრანომიულ რაიონათ: გარეთ კახეთი, მანგლისისა და ტფილისის რაიონები.

თვითეულ რაიონში არის აგრონომი, ინსტრუქტორი და ორი გამგე სამეურნეო იარაღთა საწყობებისა.

2) გასულ საბიუჯეტო წლის დამატებით საჭიროა მოწვეულ იქნეს გარეთ-კახეთის რაიონისათვის ინსტრუქტორი, რომელსაც მუდმივი ბინა ექნება სოფელ მარტყოფში და თვით აგრონომიულ განყოფილებისათვის საქმის მწარმოებელი.

3) თითო რაიონში არსდება ორი საჩვენებელი მინდორი, სულ, მაშასადამე ექვსი, შემდეგ პუნქტებში: სოფ. საგარეჯოში, მარტყოფში, ასურეთში, მანგლისში, ავჭალაში და ალბულახში. იმავე პუნქტებში იმართება სამეურნეო მანქანების საწყობები.

4) არსდება მთელი მაზრისათვის ერთი ხეხილის სანერგე, რისთვისაც ერთდროულათ საჭიროა 70700 მანეთი, და ყოველ წლიურათ 26600 მანეთი.

5) საქონლის გაუმჯობესება მინდობილი ექნება აგრონომიულ განყოფილებების მგზავსად ზოგიერთ რუსეთის ერობებისა.

გამგეობამ მიიღო და დაამტკიცა აგრონომ ი. ქურდიანის მოხსენება მცირე ცვლილების შეტანით, რომლის მიხედვითაც გასავალის ჯამი უდრის 560,375 მან. ხოლო შემოსავლის 47000 მანეთს.

მილოცვა.

ახლად არჩეულმა მანგლისის სათემოს ხმოსანთა პირველმა ყრილობამ ა. წ. 10 ივნისს შემდეგი მისალოცი დეპეშით მიმართა საქართველოს დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და ერობის გამგეობას: მანგლისის ერობის წვრილ ერთეულის ხმოსანთა პირველი ყრილობა გულითად სალამს უძღვნის დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და ერობის გამგეობას. აღუთქვამს მათ ერთგულს, ნაყოფიერ მუშაობას და განხორციელებას ყოველივე იმ აზრებისას, რომელნიც მინართულნი იქნებიან დემოკრატიის საკეთილდღეოთ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს სოციალიზმს!

გამგეობის თავმჯდომარე

დავით მალაშენიძე

დამფუძნებელ კრებაში.

ხალხთა ლიგის ხელშეკრულების ტექსტი.

საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებამ პარიზიდან მიიღო ხალხთა ლიგის ხელშეკრულობის მთელი ტექსტი, რომელიც 22 მუხლისაგან შესდგება.

მუნიციპალური ცხოვრება

ქუთაისის თვითმართველობაში

ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა ალექსანდრე ჯაფარიძემ და საავადმყოფოს ექიმმა ორდინატორმა ვლადიმერ ნემსაძემ შეიმუშავეს პროექტები ქალაქის საავადმყოფოს რეორგანიზაციისა. ეს პროექტები სამშაბათს, 10 ივნისს წარედგინა განსახილველად ქალაქის გამგეობას და საბჭოს ჯანმრთელობის კომისიას.

—

ქალაქის გამგეობას ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებმა ჯამაგირების მომატების შესახებ მოთხოვნილება წამოუყენა. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ უკანასკნელ ვადათ ქალაქის მოსამსახურეებმა ქალაქის გამგეობას 10 ივნისი დაუდვა.

—

ამ დღეებში ქუთაისის და ხონს შუა ქუთაისის ქალაქის გამგეობის ინიციატივით მოწესრიგებული იქნება ავტომობილების მიმოსვლა.

—

ქალაქის საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა ხირურგმა **როდზიევიჩმა** განცხადება შემოიტანა ქალაქის გამგეობის სახელზე. როდზევიჩი თხოვს გამგეობას გაანთავისუფლოს მან ის ქალაქის საავადმყოფოს უფროსი ექიმის თანამდებობიდან და დასტოვოს საავადმყოფოში მხოლოდ ექიმი ხირურგის მოვალეობის ასრულებლათ.

—

ქუთაისის მოურავის ამხანაგი **სერგო რობაქიძე**, რომელიც ქალაქის საქმეების გამო ტფილისში იყო წასული 6 ივნისს ქუთაისში დაბრუნდა და თავისი მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

—

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამ ჟამად ქართველების მიერ ქ. როსტოვში დაარსებული სააქციონერო საზოგადოების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას აწარმოებს ქალაქის საჭიროებისათვის „ერთი მილიონის საქონლის შეძენაზე. (ეს საქონელია: სახურავი ქესტი, ლურსმანი, შუშა, [illegible] და სხ.) ეს საქონელი ხელ-საყრელ ფასებში განაწილებული იქნება მოქალაქეთა შორის ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების **„კოოპერაციის“** საშუალებით.

—

ქალაქის აფთიაქებში მოსამსახურეებმა ჯამაგირების მომატებაზე მოთხოვნილება წამოუყენა ქალაქის გამგეობას. ეს მოთხოვნილება განსახილველათ და სათანადო დადგენილების გამოსატანათ გადაეცა ქალაქის საბჭოს ფინანსიურ საბიუჯეტო კომისიას.

—

ამიერ-კავკასიის მუშათა კონფერენციის შესახებ.

6 ივნისს, ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმისაგან ტფილისის მუშათა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: „დენიკინის საფრთხის მოახლოვების და ამიერ კავკასიის ამ რეაქციისაგან თავდაცვის საჭიროების გამო, ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ ვსცნობთ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის მოქმედების გაერთიანებას. ამ მიზნით მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმი იღებს ინიციატივას ამიერ კავკასიის მუშათა დეპუტატების კონფერენციისა და სადაც ეს არ არის პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების ყრილობის მოწვევისას.

ეს ყრილობა უნდა იქმნეს მოწვეული ტფილისში არა უგვიანეს 15 ივნისისა. თუ ამის თანხმობას განაცხადებთ, მაშინ წინადადებას გაძლევთ დაასახელოთ წარმომდგენლები, რომელნიც ჩვენებთან ერთად შეადგენენ საორგანიზაციო კომისიას. ველოდებით საჩქარო პასუხს. ხელს აწერს კონფერენციის პრეზიდიუმი.

ამის საპასუხოთ შემდეგი დეპეშა გაეგზავნა.

„ბაქო. მუშათა კლუბი. მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმს“:

„აღმასრულებელ კომიტეტის ბიურომ განიხილა რა ამიერ კავკასიის მუშათა კონფერენციის ყრილობის მოწვევის საკითხი, დაადგინა: სცნოს მისაღებათ ამ კონფერენციის მოწვევა და სთხოვს აირჩიოთ სამი ამხანაგი ან გადასცეთ მანდატი მათ, ვინც აქ არის. ყრილობის პირობების შემმუშავებელ ორგანიზაციულ კომისიას.

ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის **ბიურო.**

—

საორგანიზაციო კომისია უკვე მოეწყო. ტფილისიდან კომისიაში შედის: **მახარაძე**, ჰაიგეროვი და ბახტაძე. ბაქოდან: სტურუა, მირზაიანცი და ჩურაევი.

კომისიას ჰქონდა რამოდენიმე სხდომა, რომელზედაც მიაღწიეს შეთანხმების მთავარ საკითხებში.

შემუშავებულია ყრილობის პროგრამა, რომელიც შესდგება მხოლოდ ერთ პუნქტიდან „ბრძოლა დენიკინთან.“

გადაწყვეტილია მოწვეულ იქნას საქართველოს ადერბეიჯანის სომხეთის და მთიელთა რესპუბლიკების მუშათა საერთო ყრილობა. ყრილობის მოწვევა განზრახულია ივნისის 20-ში.

ამიერ-კავკასიის ყრილობისათვის.

ტფილისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამიერ-კავკასიის მუშათა კონფერენციის ერთსულოვნების დარღვევის თავიდან ასაცილებლათ დაადგინა: წინადადება მიეცეს ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმს, რომ მან დეკლარაციის საშუალებით გამოსთქვას თავისი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობისა და დამფუძნებელ კრებისადმი. ეს დადგენილება უკვე ეცნობა ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმს.

კონფერენციის წინასწარი კომისია უცდის ბაქოდან პასუხს, ურომლისოდაც მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია.

სატარიფო პალატაში

8 ივნისის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს შრომის სამინისტროს საქმეთა მართველი ბ. ი. გოლდმანი. მდივნობს ს. ფანცხავა. მონაწილეობას იღებენ, სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან ცინცაძე, გაბაშვილი, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროდან მ. ბრაილოვსკი, ქალაქთა კავშირიდან მ. მადისონი, მექარხნე-მეფაბრიკეთა საზოგადოებიდან ხანდანოვი, მუხარინსკი, შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან ს. მიქაძე, საქართველოს კავშირთა ცენტრალურ საბჭოდან აბდუშელიშვილი, რკინის-გზის ცენტრალურ კავშირთა საბჭოდან: სიხარულიძე, ბერეჟიანი, კახეთელიძე, ტფილისის კავშირთ. ცენტრალურ საბჭოდან, დობორჯგინიძე, კიკნაძე, სიმონოვი.

არ დასწრებია მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი. მდივანი ფანცხავა კი თხულობს წასულ სხდომის ოქმს, რასაც სხდომა უცვლელათ იღებს. შემდეგ თავმჯდომარე მიმართავს სხდომას: ამდენი ხანი რაც გააკეთა პალატის პრეზიდიუმმა, სწორეთ იმაზე ეკვნება ახლა ლაპარაკი, ე. ი. თამბაქოზე მომუშავეთა, ახალ მოთხოვნილების შესახებ, რა უტყუარი საბუთები შეაგროვაო და მეორე ის, რომ დღევანდელ სხდომამ უნდა გაარჩიოს დებულება სატარაფო პალატის პროექტისაო. მეორე წინადადება სხდომამ უარყო ვინადან გახსნისას პლენუმს აკლდა რამოდენიმე პირი. სხდომამ გადასწყვიტა, რომ მეორე საკითხი, თუ კი პლენუმი შედგება, მაშინ გაირჩესო. პირველ კითხვის შესახებ სახელდობრ თამბაქოზე მომუშავეთა მოთხოვნილების შესახებ ვრცელ მოხსენებას ადგენს ამავე დარგის სექციის თავმჯდომარე ბ. ტერ-გრიგორიანი. სატარიფო ჰალატის გადაწყვეტილებისამებრ ფაქტიურ მასალის შეკრებისათვის თამბაქოზე მომუშავეთა ხელ-ფასის გადიდების შესახებ შედგა კომისია სპეციალური ჩემი თავმჯდომარეობით და მუშაობას ეს კომისია შეუდგა 30 მაისს ამა წელს. დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს მთლიანი მასალა, როგორც ახსნილ-განმარტებული მუშების მხრივ, ისე მწარმოებლებისა და ამით შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: 1) ყველა ფაბრიკაში მუშები გაყოფილია შემდეგ კატეგორიებათ: ა) დღიური მუშები. ერთი კვირის ნაშრომი 1-ლ კატეგორიას 300 მან. 60 კაპ. 295 მან. 80 კაპ.

2 კატეგორიას 263 მან. 46 კაპ. 238 მან. 76 კაპ. 3. კატეგორიას, 189 მან. 81 კაპ. 121 მან. 29 კაპ.

კვალიფიციურ მუშებს—მექანიკოსები 1 კატეგორია—1950 მან. 2 კატეგორია—1725 მან. 3 კატეგორია—1600 მან. 4 კატეგ. 1350 მან.

როგორც გამოირკვა ზოგიერთ ფაბრიკების მუშები, მაგ. სეილანოვისა, მუშაობენ კვირაში მხოლოდ 5 დღე და აკეთებენ ხელშეუხლებლობის მინიმუმსაც ყოველ კვირაში.

2) ჯამაგირი 24 თებერვლიდან არსებობს, ჭამდის კი 50% ნაკლები ჰქონდა ყოველ მათგანს იყო ის დღიური თუ თვიური.

3) კატეგორიებათ დაყოფა ისე რამდენად ეს არ ეწინააღმდეგება დეკრეტს 8 საათის სამუშაო დღეზე.

4) ამ დროის განმავლობაში, თამბაქოს ნაწარმოები, როგორც სჩანს ამ მასალიდან გადიდებულია სხვა და სხვა ფაბრიკებში 100—170% დის.

5) ფასი მომატებულია იმ თუთუნის ნაწარმოებზე, რომელიც ნასყიდია იაფ ფასში ჯერ კიდევ ადრე.

6) წარმოება თუთუნის ძალიან შემცირებულია, ასე რომ მოთხოვნილებას თითქმის ვერ აკმაყოფილებს.

7) აქციზი, რომელსაც ამდენი ხანი სახელმწიფო ახდევინებდა ძალიან დაწეულია, რაიც სჩანს შემდეგიდან: აქციზი პირველ ხარისხის პაპიროსისა A, ღირებული 10 თებერვლამდე 100 მან. 1000 ცალი, ხდებოდა 40 მ. ეგევე 40 მან. ხდება პაპიროსის იმავე ხარისხიდან მიუხედავად იმისა, რომ პაპიროსი დღეს ღირს 1000 ცალი 100 მან, კი არა არამედ 280 მ.

აი აქედან, რომ დავასკვნათ უნდა ვალიაროთ, რომ სანოვაგის ძლიერმა სიძვირემ მუშა ხელიც გააძვირა, რაიც დღეის დღეს მოითხოვს თავის მინიმალურ საცხოვრებელს და ჩემის აზრით კვალიფიციურ მუშებზე უფრო ცუდ მდგომარეობაში დღიური მუშებია, ამიტომაც მათ უფრო მეტი უნდა მოემატოთ პროცენტები ვინემ სხვა კატეგორიებს.

შემდეგ მოხსენებისა გაიმართა კამათი. არსებითად კამათში მონაწილეობა მიიღო გოლდმანმა, დობორჯგინიძემ, აბდუშელიშვილმა, სიმონოვმა, ბრაილოვსკიმ, მანდანოვმა და მუხარინსკიმ.

შემდეგ მიიღეს რეზოლუცია, რომ ხუთშაბათს იქნეს მოწვეული პალატის სხდომა, რომელსაც დაესწროს თამბაქოს ქარხნების, როგორც მეპატრონეები, ისე მუშებიც და ეს მოთხოვნილება ვრცლად მაშინ გაირჩეს. შემდეგი სხდომა ხუთშაბათს 12 ივნისს.

მუშათა ცხოვრება

მეფურნე მუშების მოთხოვნილება.

საავჭრო-სამრეწველოს პროფესიონალურ კავშირმა აცნობა შრომის კომისარიატს, რომ შკვე კონფლიქტი ეკონომიურ ნიადაგზე მეფურნე-მუშებს და მეპატრონეთა შორის დამთავრდა შემდეგ პირობებში.

1) 8 საათის სამუშაო დღე მიღებულია შემდეგი შესწორებით:

ა) ამ დროის განმავლობაში მუშამ უნდა გამოაცხოს ორი ფ ჩი პური სამი მუშის მეთხებით, ერთი გამომცხობი, (ერთი მზელელი და ერთიც გამცრელი ფქვილს) ე. ი. 25 ფუთი. თუ კი 7 ტომარა გამოაცხო ე. ი. 35 ფუთი, მაშინ უნდა მოემატოს ერთი თანაშემწე ფქვილის მცრელი ან მზელელი.

2) კვირა-უქმე დღეების წინ მუშები ვალდებულია ნორმაზე მეტი გამოაცხონ, ხოლო ხელფასიც მეტი უნდა აიღონ.

3) პანო მეპატრონეს ხარჯზე 15 დღეში ერთხელ.

4) ხალათები და მათი რეცხვა ყოველ კვირაში დამქირავებლის ხარჯზე.

5) არ იქნა მიღებული (იხ: საქართველოს რესპუბლიკა № 111).

6) მეპატრონეები ვალდებულნი არიან შეიტანონ ქალაქის საერთაშორისო სამარხ კასაში 5% ყოველ მუშის ჯამაგირზე და მუშებს კი არაფერი შეაქვთ.

7) მიღებულია უცვლელათ („საქ.-რესპ.“ № 111).

8) მიღებულია („ს.-რ.“ № 111).

9) მიღება და დათხოვა უნდა მოხდეს შეთანხმებელ კომისიის საშუალებით.

10) მიღებულია.

11) მიღებულია.

12) მიღებულია.

13) არ არის მიღებული.

14) მიღებულია უნდა მიეცესთ 15 მაისიდან.

დამატება: 1) მუშებმა უნდა მიაქციონ ყურადღება მეპატრონეს ქონებას, რომ ზარალი არ მიაყენონ, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის მგებელნი არიან.

2) ყოველი კონფლიქტი წყდება შემთანხმებელ კომისიაში, რომლის დადგენილება სავალდებულოა ორივე მხარისთვის.

3) ზემოხსენებული დადგენილება სავალდებულოა ყველა ფურნის მეპატრონესთვის.

ლითონზე მომუშავეთა მოთხოვნილება.

3 ივნისის გადაწყვეტილებით, 6 ივნისს ამა წელს შესდგა შრომის კომისარიატში ლითონზე მომუშავეთა კავშირის და საქარხნო-საფაბრიკო საზოგადოების მექანიკურ სექციისა, საარბიტრაჟო კომისიის სხდომა რომელთაც მოაწერეს ახალ კოლლექტიურ ხელშეკრულებას ხელი. მონაწილეობას იღებდენ თავმჯდომარე გ. აიოლლო, კომისიის წევრები მუშებიდან, მარინი, პავლოვი, სიმონოვი. მექანიკურ სექციიდან ვახნიანსკი, ხანდანოვი. დაადგინეს, რომ ახალი მომატების დროთ განისაზღვროს 5 ივნისი 1919 წ.

შერეულ კომისიის სხდომა მოხდა შრომის კომისარიატში ამავე მოთხოვნილების შესახებ 7 ივნისს შრომის კომისარ ელბაქიანის თავმჯდომარეობით. მონაწილეობა მიიღეს კავშირირან გარინმა, პავლოვმა, სიმონოვმა, ყარაგოზოვმა, მექანიკურ სექციიდან ხანდამოვმა და ვახნიანსკიმ.

უკანასკნელათ მიღებულ იქნა, რომ კვალიფიციურ მუშებს (ჯგუფი პირველი, მეორე და მესამე) საათში 2 მან. 50 კაპ. არა კვალფიციურს (ჯგუფი მეოთხე, მეექვსე) 2 მან. მეხუთე ჯგუფს 1 მან. 50 კაპ. საათში. მოწაფეებს 1 მან. საათში.

ამნაირათ დასრულდა ლითონზე მომუშავეთა მოთხოვნილება.

ჭუთაისის ქალაქის შრომის ბირჟა.

31 მაისამდე შრომის ბირჟაში ჩაეწერა 536 უმუშევარი. გაგზავნა სამუშაოზე 16 კაცი. წინა თვებიანათ 1 ივნისისათვის დარჩნენ უმუშევრათ 1372 კაცი. მდგომარეობა ძლიერ გამწვავებულია და მოითხოვს ფიცხელ ზომებს.

4 ივნისს შესდგა შრომის ბირჟის კომიტეტის სხდომა. გადაწყდა შედგეს კომისია, რომელიც ჩაუდგება სათავეში უმუშევართა დახმარების საქმეს და მოგვარებას მას. ამ კომისიაში მოწვეულ უნდა იქნენ ქალაქის თვითმართველობის, ერობის, ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს, მუშათა კავშირების წარმომადგენლები საგან სამუშაოების აღმოსაჩენათ და უმუშევრობის მოსაგვარებლათ, სხდომა თათბირისა დანიშნული იყო სამშაბათს, 10 ივნისს.

მილიციაში.

დიდ ქურდთა ბრბოს შეპყრობა.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა პ. ზ. ფაჩულიამ ცნობა მიიღო, რომ ბათომიდან ტფილისში გასტროლებზე გამოემგზავრენ „ჟოკე მიშკას“ მეთაურობით ცნობილი ქურდები-თავდასმხელნი. მილიციის ცნობით ეს ბრბო უკვე ჩამოსულიყო ტფილისში და 7 ივნისს ღამით ძველ სემენარიის პირდაპირ ვიწრო მუზეუმის ქუჩიდან სარდაფიდან კალატოზოვის უნივერსალურ მაღაზიის გატეხას აპირებდა. მილიცია ქურდებს მართლაც კვალ და კვალ მიჰყვა და ღამის 10 საათზე გახურებულ მუშაობის დროს თავს დაესხა. შეიპყრა სულ ხუთი კაცი, რომელნიც აღმოჩდენ: ნიკოლოზ არუთინის ძე დანელიანცი, მიხეილ ზაქარიას ძე ადამოვი („ჟოკე მიშკა“-თ წოდებული), რომან გიორგის ძე გვარამაძე მატაცაშვილი, რაჟდენ ილარიონის ძე და ამინარაშვილი ივანე ვასილის ძე. მათ აუარებელი სატეხი და სალეწი იარაღები აღმოაჩნდათ და მილიცია განცვიფრებაში მოვიდა. აქ ნახავდით დიდრონ მაკრატლებს, რომელნიც ერთ წუთს ქაღალდის ფურცლებსავით სჭრის დიდ რამდენიმე გოჯის რკინეულობას და უზარ-მაზარ კლიტებს. აქ იყო იედაფორმის ფერი წამლები წვრილ წვრილ შუშებში, რომლის შესხმა პკურების დროსაც კედლები და აგურები თავის თავათ იფხვნებოდა და მტვრათ იქცეოდა. აქ ნახეს ათას გვარი ჯურის გასაღებები, ქლიბები, ხერხები ერთი სიტყვით მთელი ლაბორატორია და სახელოსნო ფართე მასშტაბში დაჭერილი. გვარამაძის მეუღლის ივანიკოვის ბინის ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 12 წყვილი ქალის ფეხსაცმელი.

ყველა ქურდნი და თავდამცემნი მშვენიერ ევროპიულათ გამოწყობილნი იყვნენ. ყველანი გამოტყდნენ დანაშაულში და დაპატიმრებულ იქნენ.

ყალბ საბუთების შემდეგნი.

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ალექსანდრე ნემსაძე, დავით სურმავა და კალისტრატე თორდია, რომელნიც აპირებდენ ყალბ საბუთებით შაჭრის ფხვნილი მიეღოთ საქონლის საწყობიდან დაახლოებით 50,000 მანეთათ ღირებული. შაქარი ჩამოერთვათ და ყველა ეს პირნი დააპატიმრა მილიციამ.

არამიანცის გამტაცებელთაგანი.

თანახმათ სისხლის სამართლის მილიციის უფროსის პ. ზ. ფაჩულიას დეპეშისა ჭიათურაში შეიპყრეს ლადია ლოლაძე, რომელსაც არამიანცის გატაცება ბრალდება.

დ ა ნ ი შ ვ ნ ა.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწეებათ დაინიშნენ ბ. ბ. ვ. ი. ჩიხლაძე დ. ნიჟარაძე გ. საღარეიშვილი და გ. მ. შარაშიძე.

ქურდების შეპყრობა.

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო განთქმული ქურდი—რეციდიკისტები პ. მ. ჟვანია და ნ. ზ. ხუთაშვილი.

იარაღის ჩამორთმევა..

სისხლის სამართლის მილიციამ ჩამოართა ისმაილ იუსუფ ოღლის იაპონური კარაბინი, ვლ. პეტრიაშვილს მაუზერი და ალ. თადიშვილს ნაგანი. არც ერთ მათგანს ნებართვა არ ჰქონდათ ტარებისა.

საგანგებო რაზმში. ნაჭურდალის აღმოჩენა.

საგანგებო რაზმის უფროსს ბ. კედიას ცენტრალურ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარემ ბ. იეგოროვმა განუცხადა, რომ მათ საწყობიდან მანთაშევის ქარვასლიდან ვიღაც ბოროტ-მომქმედთ წაუღიათ 658 ცალი რკინის ცელი, ღირებული 70,000 მანეთამ. ბ. კედიამ ბოროტ-მომქმედთა აღმოჩენა მიანდო რაზმის უფროსს ნ. ჯაფელს, რომელიც ფიცხლავ გაემართა საწყობისაკენ და ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ დააპატიმრა სასურსათო სამინისტროს რაზმის ჯარის კაცნი და ამავე რაზმის სომეხი დარაჯები. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ საქონელი მოიპარეს საბჭოს რაზმის ქვეითა ჯარის კაცებმა: მილაძემ, შუშიაშვილმა და ამავე რაიონის დარაჯებმა: მესროფ კევორკოვმა და ანდრიას თუმასოვმა.

ყველა აღნიშნულნი პირნი, რომელთაც ქურდობა ბრალდებათ საგუბერნიო ციხეში მოათავსეს, ხოლო ერთი დამალულის შესაპყრობათ მიღებულია ზომები. მოპარული ნივთები აღმოაჩნდა ტფილისელ ვაჭარ ლომაძესთან, რომლის მაღაზიაც მუხრანის ქუჩაზეა და ვალან ტერ-ვართანოვთან, რომლის მაღაზიაც მანთაშევის ქ. რაიონშია. მოპარული ნივთები ამ ორთავე მოვაჭრეთ ჩამოერთვა.

გადასახადების შემოტანა.

მილიციის უფროსი ბ-ნი ვ. სულაქველიძე აცხადებს 1919 წლის აპრილის სხვა და სხვა გადასახადთა სიას.

ახალ წლის დასაწყისში შემოვიდა—642366 მ. ვ. წლის დასაწყისიდან ანგარიშის თვემდე—401213 მ. 93 კ. გადახდილია ანგარიშის თვეში—98080 მან. 76 კაპ. სულ—499294 მ. 69 კ. შემოტანილია თვით გადამხდელთაგან—304030 მ. 07 ½კ. გაგზავნილია გადასაწ. სხვა და სხვა დაწესებ. —324598 მან. 78 კაპ. დარჩა გადასახადი—93305 მ. 34 კ. ზემოთ მოყვანილ სიიდან სჩანს, რომ კომისარიატებში სამწუხაროთ სუსტათ გროვდება გადასახადი გარდა 1, 7, 10, 11, 12 და 13 კომისარიატებისა. უკანასკნელთა კომისრებს და მათ თანაშემწეთ სულაქველიძე მადლობას უცხადებს, და დანარჩენ კომისარებს და მათ თანაშემწეებს მოუწოდებს მიიღონ ენერგიული ზომები გადასახადის შესაგროვებლათ.

მუსიკა

ქართ. სამუსიკო საზ.-ბის წლიური კრება.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულ კვირას წლიურ კრებას მეტად ცოტა ხალხი დაესწრო, ბ. ილ. აბაშიძის მოხსენებამ სრული განხეთქილება გამოიწვია გამგეობაში, სწორეთ ამიტომ ეხლა იწყება ახალი ხანა ქართ. სამუსიკო საზ-ბისა. მომხსენებელის აზრით უნდა დაარსდეს ავტორიტეტიული სამუსიკო კოლეგია, რომელიც დაემყარება როგორც მთავრობის, აგრეთვე ფართე საზ-ბის ძალას. მის მოვალეობას შეადგენს განიხილოს და შეამუშაოს სპეციალური სამუსიკო კითხვები, როგორც: სამუსიკო სკოლის პროგრამები, სახელმძღვანელოები, ხალხურ სიმღერების მოგროვება—დამუშავება, კრებულები, წინგნები და სხ. კომპიტენცია მუსიკალურ ცხოვრებაში ერისა უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ მას. ეს კოლეგია ირჩევა ქართ. სამუს. საზ-ბისაგან დემოკრატიულ პრინციპებით.

ამასთანავე გამგეობა შესდგება ცნობილ საზოგადოებრივ მოღვაწეთაგან, რომელშიაც უნდა შედიოდნენ: კავშირთა-კავშირის წარმომადგენელი, რკინის გზის მუშათა წარმომადგენელი, კოოპერატივთა კავშირისა-ქალაქის თვითმართველობის, სახალხო განათლებისა და კერძო პირებისაგან, რომელიც ავრცელებს რა თავის მოღვაწეობას ხალხის ფულზე, რომელსაც მთავრობა აძლევს, ვალდებულია უკანასკნელის და ხალხის წინაშე.

აი, დედა აზრი ორგანიზაციისა და მთელ ერის ცხოვრების მუსიკალურ ამაღლებისა.

—

კვირას, 15 ივნისს, ქართულ კლუბის დარბაზში, დღის 12 საათ. დანიშნულია ქართ. სამუსიკო საზოგადოების კრება, რისთვისაც მოვიწვევთ ყველას, ვისაც კი ეინტერესება საერთო საზოგადო საქმე და ხალხის კულტურული განვითარება.

უკანასკნელი კონცერტი.

ახალმა მუსიკამ დ. არაყიშვილისამ „სასულიერო“-მ მეტად მნიშვნელოვანი უთანხმოება გამოიწვია ძველ მუსიკის მოტრფიალე და სამღვდელოების საზოგადოებაში.

რა თქმა უნდა მაა თავის დადებითი მხარე აქვს.

დღეს, კონსერვატორიაში მესამედ და უკანასკნელად იმართება სასულიერო კონცერტი.

ბოროტ-მოქმედებანი

11 ივნისს ღამით პავლე ბერენკინის ბინიდან (გუნიბის ქ. № 25) ბოროტ მოქმედებმა 10,000 მან. სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები მოიპარეს.

—

11 ივნისს ღამით სიონის ქუჩაზე უცნობმა პირებმა ასტეხეს სროლა, რომლის დროსაც უცაბედათ დასჭრეს ფეხში მე-4-ე უბნის კომისარი ახვლედიანი.

—

11 ივნისს ღამით რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველნი თავს დაესხნენ სამანის მოედანზე მოდარაჯე მილიციელს ბაროლიძეს და სროლა აუტეხეს. სროლამ უშედეგოთ ჩაიარა.

სხვა და სხვა.

◆ რედაქციამ მიიღო საპედაგოგიო ჟურნალი „განათლება“ მიმდინარე წლის 1 №-ი. ჟურნალში მოთავსებულია: „მეცნიერება და სახალხო განათლება“—ლ. ბოცვაძე. „კლასის აღმზრდელთა ინსტიტუტი“—ი. ვართაგავა. „სიტყვიერება“—ვ. ბარნოვი. „სახალხო სკოლის პროგრამა“—ლ. ბოცვაძე. „ჩვენი სახალხო სკოლა“—ი. გომელაური. „ილია ჭავჭავაძე ტფილისში“—ა. ლეისტი. „რა მოგვცა ყოფილმა განათლების სამინისტრომ?“—ფ. მ. „აღმოსავლეთ საქართ. სკოლების მასწ. კავშირის დელეგატთა ყრილობა“. „აღმოსავლეთ საქართ. სკ. მასწ. კავშ. წესდება“. „საპენსიო კასის წესდება“. „სრულიად საქართ. მასწ. კავშირის წესდების პროექტი“. „საშუალო სკოლ მასწ. კავშ. წესდება და სხვა“.

◆ გამოცდები ი. მ. მაჩაიძის გიმნაზიაში. 5 თიბათვიდან უკვე დაწყებულია გამოცდები აბიტურიენტთათვის ი. მაჩაიძის გიმნაზიაში. კომისიას თავმჯდომარეობს განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, 5 ე ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ი. პ. ჯიშკარიანი გამოსაშვებ გამოცდებზე ჯერ დაშვებულია 33 კაცი.

ს ა ნ ო ტ ა რ ი ო ს ე ბ ა ნ ი

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე 847, 847, 848, და 851 მუხ. ძალით, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ტიმოთე ანდრიას ძე ხარიტოვს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-1655 მუხ. თანახმათ. ნიშნები: შუათანა ტანის, დაახლოებით 27 წლ. მუქი ნაცრის ფერი თვალები, პირი მოპარსული, მელოტი.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ხარიტოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში მღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში 972 1—1

ქ. ტფილისის მე-9 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სტეფანე აირაპეტის ძე გაზარიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავის უფლება გაზარიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 703 1—1

1919 წ. მაისის 5-ს, სოხუმის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ 1915 წ. სექტემბრის 17-ს შედგენილი ნოტარიალური ანდერძი გარდაცვალებულის ეკატერინე ვასილის ასულის ცამბაევასი. 1919 წ. მაისის 20. 969 1—1

აბაშის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 2 მარტს 1919 წ. გარდაცვალებულის მცხოვრების სოფ. ქვათანის, სენაკის მაზრისა, პავლე ფარნაოზის ძე ბოლქვაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები ბოლქვაძის ქონებაზე მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1024 1—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე—846, 847. 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ ილია მიხეილის ძე მაისურაძეს დამნაშავე ს. დ. მე-13 და 1647 მუხლ. ძალით. დაკარგულის ნიშნებია: შუა ტანის, შავგრემანი, შავ თმიანი, პირ მოპარსული, მარცხენა ლოყაზე ნიშანი.

ყველა, ვინც იცის მაისურაძის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმონჩდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი სააპეკუნო გამგეობას. 1027 1—1

სისხლ. სამ. საქ. წარმ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმათ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ყოფილ მემანქანეს ნიკონ გრიგორის ძე ფარენიკს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-2 ნაწ. 1085 მ. თანახმათ. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ფარენიკი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 836 1—1

გიორგი ევანგულის ძე ევანგულოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგდა პასპორტი № 1683, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 757 3—1

სისხ. სამ. საქ, წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მ. თანახმათ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ს. ტებელიანეოხში, თელავის მაზ., დროებით მცხოვრებს სამართალში მიცემულს ს. ინტიდის, გუნიბის მაზ. დაღესტ. ოლქ. მცხოვრებს, რიმატ იდან კიზის, რომელსაც ბრალი ედება 929 და 930 მუხ. თანახმათ.

ნიშნები: 50 წლ., ჰალარა თმა, ცისფერი თვალები, შავი წარბები, სუფთა პირის სახე, განსაკუთრებული ნიშნები არ აქვს.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს რიმატ იდან კიზი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს.

დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 771 1—1

დავკარგე ყვირილის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების მოცემული მოწმობა № 474 და ჰიათურის სამთო-ტეხნიკური სასწავლებლის დამთავრების მოცემული მოწმობა № 252, დღიდან გამოცხადებისა ჩაითვლება გმუქმებულათ. 737 3—2

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმათ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ესტატე ბუხრაკიძეს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-13, 9 და 1454 მუხ. თანახმ. ნიშნები: შავგრემანი, შუათანა ტანის, შავი თვალები, პირი მოპარსული, დაჭრილია.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ბუხრაკიძე, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 972 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმათ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ მართა ჩეპს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-1655 მუხ. თანახმათ.

ნიშნები: ბობრი, გამხდარი სახე, შუათანა ტანის.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს მართა ჩეპი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 972 1—1

სისხლ. სამ. საქ. წარ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმათ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ მე-3 ასეულის 219 სათადარიგო ბათალიონის ჯარის კაცს, მცხოვრებს ქ. ტფილისში მიხეილ ანტონის ძე პაპახჩიანცს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მ-1651 მ. თანახმათ.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს პაპახჩიანცი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რცმელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 920 1—1

ქუთ. ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. მაისის 14-ს დამტკიცებულია, იმავე წლის აპრილის 10 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გიგო თეიმურაზის ძე ხოპოლავამ 25000 მ. მუჰყიდა ალექსანდრე თომას ძე მიქაძეს მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ქუთაისში, ფერმის ქ., შენობებით, ზომით 150 კვ. ს. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 1000 მ. მთავარი ამონაწერი 125 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. მაისის 14-ს. 960 1—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე-846, 847, 848 და 151 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ ესტატე (იგივე ტოტო) გიორგის ძე შალვაშვილს ს. დ. მე-13 4 ს. 1453 მუხლ. ძალით. დაკარგულის ნიშნებია: შუა ტანის, პირგვალი, უწვეროო, პოდპორუჩიკის სამოსელში, 26 წლის.

ყველა, ვინც იცის შალვაშვილის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. ყველა ის დაწებულებანი, რომელთა უფლებაში აღოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყენებლივ გადასცეს იგი სააპეკუნო გამგეობას. 1026 1—1

ბაგრატ გრიგოლის ძე გაფრინდაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის სასულიერო სემინარიის მესამე კლასის მოწმობა მიცემული მაისში 1911 წ., რომელიც დღიდან განცხადებისა გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 756 3—2

თამარა ივანეს ასული იუზბაშევა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ქუჩაზე პასპორტი, რომელიც მიღებული იყო მილიციის სამართველოდან 1918 წელს. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 752 3—2

სოხუმის ოლქის სასამართლოში მიწვეული არიან აკაკი სამურიდის მემკვიდრეები, რათა მათ მიიღონ სასამართლოს დეპოზიტში შეტანილი გიორგი ილიას ძე ქსანდოპულოს მიერ 946 მ. აკაკი სამურიდის აღმასრულებელი ფურცლის დასაფარავად. 1021 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის 1919 წლ. ნოტარიალურ არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში აღნიშნულია სოხუმის ნოტარიუს ზატვორნიცკისთან შედგენილი მოწმობა, რომლითაც პეხუ როსტომის ძე ცომაიამ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა ქ. სოხუმს. მამული შეიცავს მიწის ნაჭერს შენობები, ზომით 312,46 კვ. საჟ. და მდებარეობს ქ. სოხუმში, მესამე პოდგორნი ქ. და ვორონცოვ-დაშკოვის ქუჩის კუთხეში № 12. 990 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანად დაამტკიცა 1917 წ. ოქტომბრის 21, შედგენილი ნოტარიალური ანდერძი მარკოზ პავლეს ძე კომლაძის, რომელიც ცხოვრობდა ს. ტაბაკინში, შორაპ. მაზ. 1023 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე 846, 847, 848 და 851 მ. ძალით, ტფილისის ოლქ. სას. დადგენილებით ეძებენ ოგანეს სარქისის ძე ვართანოვს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე 13 და 1666 და 2 ს. 1671 მუხ. თანახმათ. ვართანოვი სპარსეთის ქვეშევრდომიი, 48 წლ., განსაკუთრებული ნიშნები არ აქვს. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ოგანეს ვართანოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს, დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 1029 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმათ, ტფილისის ოლქ. სას. დადგენილებით ეძებენ ივანე ივანეს ძე ხვოიკოს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. 9, 13 და 1653 მუხ. თანახმად. ნიშნები: ს. მოსპოველიანცის, გროდნოს გუბ., კოლმიკის ოლქის მცხოვრები, 29 წლ. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ივანე ხვოიკო, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 1031 1—1

ქუთაისის ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში აღნიშნულია 1918 წ. დეკემბრის 28-ს ტფილისის ნოტარიუსთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც საქ. რესპ. სახ. რკ. გზ. სამართველომ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთნოდა იოსებ ოტიას ძე წერეთელს. მამული მდებარეობს ჭიათურაში და შეიცავს მიწის ნაკერს, ზომით 341 საჟ. ფასი 620 მ. 15 კ. ამონაწერი 2 მან. ღირებ. საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 963 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე—846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმათ, ტფილისის ოლქ. სას. დადგენილებით ეძებენ რუბენ გალუსტის ძე ტერ-არუთინოვს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-3 ნაწ. 1655 მუხ. თანახმათ, ტერ არუთინოვი ცხოვრობდა ტფილისში პრაჩეშნი შესახვევში, № 3. ნიშნები: 26—27 წლ. შუათანა ტანის, თაფლის ფერი თვალები, მოკრძო ცხვირი, მიხაკის ფერი თმა, პირი მოპარსული, ულვაშები არ აქვს ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ტერ-არუთინოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 937 1—1.

1918 წ. ივნისის 19 ს ტფ. ოლქ. სას. უფროს ნოტარიუსის მიერ გორის მაზრის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში აღნიშნულია, ცხინვალის ნოტარიუს გოცირიძესთან მაისის 22 ს შედგენილი, სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც ნიკოლოზ ალექსის ძე ხმიადაშვილმა 25 მ. 50 კ. შეიძინა საჯარო ვაჭრობაზე, რომელიც მოხდა ცხინვალის სამომრიგებლო უბანში 1914 წ. ნოემბრის 12-ს, მიწის ნაჭერი, ზომით ერთი დღის სამუშაო, მდებარე ს. ტირძნისში, გორის მაზრა, და ეკუთნოდა. იოსებ პეტრეს ძე ხმიადაშვილს. გადახდილია: განკხ. 1 მ. 50 კ. საკანც. 80 კ., სააქტო 3 მ., სიმტკიცის 1 მ. 4 კ. ამონაწერი 10 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 263 1—1

სამოქ. საქ წარმ. მე-1455 მუხ. თანახმათ ტფილისის ოლქის სასამ. იწვევს გარეგინ და ვართან ზაქარიას ძეთ მალაიანებს, რათა გამოცხადდენ სასამართლოში მათი მამის ზაქარია ბალაის ძე მალაიანცის თხოვნის გამო, გარეგინ და ვართან ზაქარიას ძე მალაიანები ვალდებული არიან ოთხი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან გაზ. „საქ. რესპ." განუცხადონ სასამართლოს თავისი საცხოვრებელი ადგილი ქ. ტფილისში. თუ ეს არ შეასრულეს ყველა მის სახელზე მოსული ქაღალდები დარჩება სასამართლოში. ზაქარია მალაიანის თხოვნასთან ერთად წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები: 1. ტფ. ხაზინის კვიტანცია, № 6538, 1 მ. 50 კ შეტანის შესახებ. 2. მეტრიკული მოწმობები: სურენ მალაიანცის, მარიამ მალაიანის და გარეგინ და ვართან მალაიანების. 3. ტფ. ქალაქის მილიციის უფროსის მოწმობა. 1009 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ატყობინებს, რომ 1919 წ. მაისის 20 მოწერილობის თანახმათ, ყადაღა, რომელიც დადებული იყო ანასტასია ივანეს ასულის სამურიდის უძრავ ქონებაზე და აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1912 წ. ყადაღათა კრებულში მე-25 №-ით-გაუქმებულია. 1919 წ. ყადაკრებ. № 52. 989 1—1

სისხ. სამ. საქმ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით ეძებენ ქალ. სიღნაღის მცხოვრებ ილია სიმონის ძე მაზიაშვილს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-1455 მუხ. თანახმად. ნიშნები: შუათანა ტანის, შავი დიდრონი თვალები, პატარა შავი ულვაშები, პირის სახე მოწითალო. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ი. მაზიაშვილი, ვალდებულია განუცხ დოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 934 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, და 851 მუხ. თანახმათ სოხუმის ოლქის სასამართლოს 1919 წ. მაისის 8 ს დადგენილებით ეძებენ ს. ხვადების, ოზურგ. მაზ. მცხოვრებს თედორე ფილიპეს ძე გობრონიძეს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-1629 და 1632 მუხ. თანახმად. ნიშნები: 29 წლ., შუათანაზე მაღალი, სუფთა პირისახე, შავი თმა, შავი წარბები, მოკუზული ცხვირი, თაფლის ფერი თვალები, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს გობრონიძე, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 970 1—1

ეფრემია ელკაზარეს ძე ალელიშვილი აცხადებს, რომ დაჰკარგა პასპორტი მთელი ოჯახის, მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან 1918 წელს. პასპორტი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს დღიდან განცხადებისა. 749 3—3

20 მაისს ოთახის გამქურდველმა ბოროტგამზრახველებმა წაიღეს აგრეთვე ტფილისის პოლიტეხნიკუმის მიერ მოცემული ჩემი პიროვნების მოწმობა, რომელსაც გთხოვთ გაბათილებულათ ჩათვალოთ. სტ. თ. ნაცვლიშვილი, სასტუმრო „კავკაზი". 746 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთები № № 77236, 79899, 80784, 170, 400 და 350 მან. ღირებულებისა. ზემო აღნიშნული ბილეთები გაუქმებულად ითვლება დღიდან განცხადებისა. 753 3—2

დავკარგე 10 ს ივნისს თავისუფლების მოედანზე უბის საფულე 253 მანეთით და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც მოცემული იყო სენაკის მაზრის სამხედრო უფროსისაგან, და სხვა საბუთებით. მნახველს ვსთხოვ ფული დაიტოვოს, ხოლო დოკუმენტები დამიბრუნოს მისამართით: სასტუმრო „ინტერ-ნაციონალი" ლავრენტი კემულარიას. 750 2—2

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმათ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ვართან აკიმის ძე მიკირტუმოვს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. 2 ნაწ. 354 მუხ. თანახმათ. მიკირტუმოვი ცხოვრობდა ტფილისში, სოლომონის ბანდში, № 8. ნიშნები: დაბალი, თმა, წარბები და ულვაშები შავი, თვალები თაფლის ფერი, წვერს იპარსავს. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს მიკირტუმოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 938 1—1

მეხეტი ზეინალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საქართველოდან აზერბეიჯანში მოცვის ჩაის გატანის ნებართვა, მიღებული საგარო სამრეწველო სამინისტროს კანცელარიიდან, № 3594. ნებართვა გაუქმებულათ ითვლება დღიდან განცხადებისა. 753 3—2

მ თ ა ვ ა რ ი ს ა ბ ა ჟ ო

ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ამა წლის 14 ივნისს დილის 10 საათზე და შემდეგ დღეებში საბაჟოში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება გამოქნილი ხბოს ტყავები და სხვა საბაჟოს მიერ ჩამორთმეული საქონლები. 1052 1—1